პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

საქმე

№ 199 (2360)
16 ოქტომბერი, ხუთშაბათი, 1986 წ.

საქართველოს სსრ ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ДЕЛО — ОРГАН ГОСУДАРСТВЕННОГО КОМИТЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР ПО ФИЗИЧЕСКОЙ КУЛЬТУРЕ И СПОРТУ И РЕСПУБЛИКАНСКОГО СОВЕТА ПРОФСОЮЗОВ

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან ● ფასი 8 კაპ.

აგრომრეწვის შესაძლებლობები

საქსახაგრომრეწვის უდიდესი შესაძლებლობები არა მარტო უშუალოდ სახალხო დოვლათის წარმოებაში, არამედ მაკერადაური და სოციალური სფეროშიც კარგადაა ცნობილი. ეს ლაბორატორიულ [illegible] მრავალი კონკრეტული ფაქტი შეგვიძლია დავიმოწმოთ თუნდაც ფიზკულტურისა და სპორტის სფეროდან. ფიზკულტურულ-გამაჯანსაღებელი და სპორტულ-მასობრივი მუშაობის ცალკეული მიმართულების შემდგომი დახვეწისა და წინსვლისათვის შედარებით მოკლე პერიოდში მართლაც ბევრი რამ გაკეთდა და კეთდება. გაიხსნა ახალი თვალსაჩინო სპორტული და გამაჯანსაღებელი ბაზები თბილისში, გაგრაში, ზუგდიდში, მახარაძეში, რესპუბლიკის ცალკეულ ქალაქებსა და რაიონებში. მისასალმებელია ამ სოლიდური სახელმწიფო დაწესებულების ხელმძღვანელების გულისხმიერი დამოკიდებულება ყველა საკითხისადმი, რაც დაკავშირებულია მშრომელთა და მათი ოჯახის წევრების დასვენებისა და თავისუფალი დროის უკეთ ორგანიზაციასთან, ხალხის ჯანმრთელობის განმტკიცების, მათი კეთილდღეობის ამაღლებასთან, ეს კი ჩვენი პარტიისა და მთავრობის უპირველესი ყოველდღიური საზრუნავია.

ერთ მეტად მნიშვნელოვან საკითხზე, კერძოდ, რესპუბლიკაში მეცხენეობისა და საცხენოსნო ტურიზმის შემდგომი განვითარების და კოორდინაციის თაობაზე გუშინ გაიმართა თათბირი საქსახაგრომრეწვში. რესპუბლიკაში მეცხენეობისა და საცხენოსნო ტურიზმის განვითარების მესვეურებს პირადად შეხვდა საქართველოს სახაგრომრეწვის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე გ. მგელაძე.

მეცხენეობისა და საცხენოსნო ტურიზმის განვითარება რესპუბლიკაში მეტად საშური საქმეა, მით უფრო მისასალმებელია, ზემოხსენებული კომიტეტის ხელმძღვანელობის ამ საკითხში ოპერატიული ჩარევა. ერთხელ კიდევ გამოვლინდა, თუ როგორ შეიძლება იმ დიდი შესაძლებლობების საქმის სახეკეთოდ და საკეთილდღეოდ გამოყენება, რაც აგრომრეწვს გააჩნია. მაინც რაზეა ლაპარაკი? ამ შეხვედრაზე ცხენოსნობის რესპუბლიკური ფედერაციის თავმჯდომარემ ლ. შარაშენიძემ და მოსკოვის სახელმწიფო იპოდრომის დირექტორმა, დარგის ერთ-ერთმა საუკეთესო სპეციალისტმა მ. ეფროსმა, დააყენეს კონკრეტული წინადადებები საქართველოში მეცხენეობისა და საცხენოსნო ტურიზმის განვითარების სისტემაში ცვლილებების შეტანის თაობაზე. ეს ეხება სახაგრომრეწვში მეცხენეობის განყოფილების შექმნას, მთავარი საცხენოსნო ცენტრებისა და გამაჯანსაღებელი ობიექტების თბილისის სახელმწიფო იპოდრომის, როგორც სათაო ორგანიზაციისადმი დაქვემდებარებას. დამტკიცდა თბილისის სახელმწიფო იპოდრომის მიმდინარე სარემონტო სამუშაოებისა და ტერიტორიაზე სისუფთავის უზრუნველყოფის ღონისძიებების გეგმა, მიღებული გადაწყვეტილების შესრულებას კი საქსახაგრომრეწვის სათანადო ორგანიზაციები და სამსახურები დაუყოვნებლივ შეუდგებიან.

ყურადღება!

ხვალ, 17 ოქტომბერს, 11 საათზე, თბილისის ჭადრაკის სასახლეში გაიმართება საქართველოს სსრ ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტის გაფართოებული კოლეგიის სხდომა, რომელიც განიხილავს სსრ კავშირის ხალხთა IX საზაფხულო სპარტაკიადაში საქართველოს სპორტული დელეგაციის შედეგებს, რესპუბლიკის ფიზკულტურულ-სპორტული ორგანიზაციების სამომავლო ამოცანებს.

სხდომაზე მოწვეულნი არიან რესპუბლიკის რაიონების, ქალაქების, ავტონომიური ოლქისა და რესპუბლიკების სპორტკომიტეტების თავმჯდომარეები, ნებაყოფლობით სპორტულ საზოგადოებათა ხელმძღვანელი მუშაკები, ოლიმპიური რეზერვებისა და უმაღლესი დაოსტატების სპორტული სკოლების დირექტორები, ნაკრები გუნდების მწვრთნელები, სპორტული ბაზების ხელმძღვანელები.

რეგისტრაცია დაიწყება 10 საათზე.

გარდაქმნა კონკრეტული საქმით იწყება

ფორმალიზმი საქმის მტერია

საფეიქრო და მსუბუქი მრეწველობის სისტემის მუშა-მოსამსახურეთა უმრავლესობა ფიზკულტურულ-სპორტულ მოძრაობაშია ჩაბმული — 26 ათასამდე მუშაკი სპორტულ სექციებშია გაერთიანებული, 25 ათასზე მეტი ჯანმრთელობის ჯგუფებში მეცადინეობს. 78 ფიზკულტურული კოლექტივიდან ბევრი მოწინავეა, მაგრამ არიან ჩამორჩენილებიც. იმის შესახებ, თუ რა კეთდება დღეს სისტემაში ჩვენი გაზეთის კორესპონდენტს ესაუბრა საფეიქრო და მსუბუქი მრეწველობის მუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის თავმჯდომარე **ნინო ლაკიაა:**

⊙ პარტიის XXVII ყრილობამ გარდაქმნის კურსი დაგვისახა ცხოვრების ყველა სფეროში. როგორ ხორციელდება ეს საპროგრამო მოთხოვნა თქვენს სისტემაში, კერძოდ, რა ცვლილებები მოხდა ფიზკულტურულ-სპორტულ მუშაობაში?

— მიმდინარე წლის მაისში სამართლიანად გაგვაკრიტიკეს ჩვენს საქმიანობაში შემჩნეული ხარვეზებისთვის, ნაკლოვანებებში ღრმად ჩაგვახედეს. მდგომარეობის გამოსწორების მიზნით სამინისტროსთან ერთად დარგის საწარმოებში სპორტული ბაზების წესრიგში მოსაყვანად შევიმუშავეთ ხუთწლიანი გეგმა, რომელიც ყველა ფაბრიკასთან მარტივი ტიპის სპორტული მოედნების მოწყობას ითვალისწინებს. არსებული სპორტული ნაგებობების ყეთილმოსაწყობად ათეულ ათასობით მანეთი იხარჯება. დარგობრივი სამინისტროს კოლეგიისა და პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის პრეზიდიუმის 1986 წლის ივნისის ერთობლივ სხდომაზე მიღებული დადგენილების საფუძველზე გამოვაცხადეთ სპორტულ ნაგებობათა დათვალიერება-კონკურსი. პირველ ადგილზე გასული კოლექტივი დაჯილდოვდება 500 მანეთი ფულადი პრემიით, მეორე და მესამე ადგილებზე გასულნი კი შესაბამისად 300 და 200 მანეთს მიიღებენ.

⊙ დღეს ბევრს ლაპარაკობენ ფიზკულტურაზე, როგორც ეკონომიკურ კატეგორიაზე. როგორ ფიქრობთ, შეუძლია თუ არა ფიზკულტურას საგრძნობი ეკონომიკური ეფექტი მოგვცეს?

— რასაკვირველია. ჯანმრთელი და ფიზიკურად მომზადებული ადამიანი ხომ უფრო ნაყოფიერად შრომობს. იგი ავადაც იშვიათად ხდება. ჩვენთან მაგალითად, ფიზკულტურულ-გამაჯანსაღებელი და სამედიცინო ღონისძიებების გატარების შემდეგ 1985 წელს ყოველ ას მომუშავეზე გაცდენებმა საკმაოდ მოიკლო, ხოლო წლეულს 6 თვის მანძილზე, გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით მცირეა. თუ გავითვალისწინებთ იმას, თითოეული დღეში საშუალოდ 90 მანეთზე მეტი ღირებულების პროდუქციას უშვებს, ცხადია, ეს ეკონომიკური ეფექტი საკმაოდ დიდი იქნება.

⊙ რესპუბლიკური სპარტაკიადები, რომელთაც დარგობრივი

იხ. მე-2 გვ.

როგორც იცით, ფრუნზეში მიმდინარეობს საბჭოთა კავშირის მოჭადრაკე ქალთა 46-ე ჩემპიონატი. ამ ხუთათზე, რომელიც ფრუნზელმა ფოტოკორესპონდენტმა ალექსანდრე ნეხაევმა გადაიღო, აღბეჭდილია არახამიაუსკოვას პირველი ტურის შეხვედრა.

„გურიის“ შესანიშნავი პერსპექტივები

I ლიგა

მეტად დაძაბულ ბრძოლაში მიმდინარეობს I ლიგის ფეხბურთელთა საკავშირო გათამაშება. 14 ოქტომბერს გაიმართა 41-ე ტურის შეხვედრები, ტურნირის დამთავრებამდეკი სულ 7 ტური დარჩა.

ლიგის სატურნირო ცხრილს ახლა კვლავ რიგის „დაუგავა“ ლიდერობს, მაგრამ მას ბოლო ხანებში აღარა აქვს ადრინდელი დიდი უპირატესობა და სადღესოდ „დაუგავა“ მხოლოდ 3 ქულით აჭარბებს მეორე ადგილზე მყოფ ლანჩხუთის „გურიას“, თუმცა ერთი თამაშით ნაკლები აქვს ჩატარებული.

გათამაშების დებულებით წლევანდელ შეჯიბრებაში I-II — ადგილებზე გასული გუნდები გაისად უმაღლეს ლიგაში ითამაშებენ, ხოლო ბოლო 5 ადგილზე მყოფნი ქვედა, მეორე ლიგაში გადაინაცვლებენ. ამ 5 გუნდიდან ორი უკვე საბოლოოდ გაირკვა — კიმინიოვის „ნისტრუს“ და კლაიპედის „ატლანტასს“. უკვე აღარაფერი უშველის, მაგრამ პირველი ლიგის დატოვების კანდიდატები არიან, აგრეთვე, ხაბაროვსკის არმიელთა გუნდი, სმოლენსკის „ისკრა“, აბოვიანის „კოტაიკი“, კრასნოდარის „უუბანი“, სტავროპოლის „დინამო“, და სხვები.

საქართველო ორი გუნდითაა წარმოდგენილი I ლიგაში და ორივეს საუკეთესო მაჩვენებლები აქვს. ბათუმის დინამოელებს პირველ ხუთეულში გასვლის პერსპექტივები გაჩნიათ, ხოლო რაც შეეხება ლანჩხუთის „გურიას“, ამ გუნდს სრული შესაძლებლობა აქვს ნამდვილი საოცრება მოახდინოს საბჭოთა ფეხბურთის სინამდვილეში, რაც ჩვენს ქვეყანაში უმაღლესი საფეხბურთო ლიგა არსებობს 1936 წლიდან, ეს პირველი შეეთხვევაა, რომ პატარა რაიონულ ცენტრს საბჭოთა ფეხბურთის ელიტაში დაეკავებინოს ადგილი. ლანჩხუთელები ადრეც წარმატებით თამაშობდნენ I ლიგის განვლილ ტურნირებში, ახლა კი აღიარებულ კონკურენტებთან ბრძოლაში არ თმობენ მოპოვებულ მოწინავე პოზიციებს. სასიხარულოა, რომ თუ წინა წლებში გუნდს დიდ ნაკლად ეტყობოდა მეტოქეთა მინდვრებზე წარუმატებელი თამაში, ახლა, მცირე გამონაკლისის გარდა, ეს ნაკლიც გამოსწორებულია.

14 ოქტომბრის ტურში არ თამაშობდნენ ლანჩხუთელთა მთავარი მეტოქეები რიგის „დაუგავა“, ცსკა და ლვოვის ასკ „კარპატი“. ვოლგოგრადის „როტორმა“ დიდი ანგარიშით წააგო ერთ-ერთ აუტსაიდერთან „ატლანტასთან“ — 1:4 და კიდევ უფრო ჩამორჩა „გურიას“. თავის მინდორზე გამარჯვება მოიპოვა დუშანბეს „პამირმა“ ორჯონიკიძის „სპარტაკთან“ — 3:0, მაგრამ „პამირი“ უკვე 5 ქულით ჩამორჩება „გურიას“.

ერთი სიტყვით, ლანჩხუთელ ფეხბურთელებს სადღესოდ შესანიშნავი სატურნირო მდგომარეობა აქვთ უმაღლესი ლიგის საგზურებისთვის ბრძოლაში, მათი ძირითადი მეტოქეებია რიგის „დაუგავა“ და ცსკა.

41-ე ტურში ლანჩხუთის „გურია“ ტამკენტში შეხვდა ადგილობრივ „ფახთაქორს“, უმაღლესი ლიგის ერთ-ერთ ძველ ბინადარს. ამ მატჩს დაესწრო „ლელოს“ სპეციალური კორესპონდენტი, რომლის საანგარიშო წერილსაც ვთავაზობთ ჩვენს მკითხველებს:

„ფახთაქორი“ (ტაშკენტი) — „გურია“ (ლანჩხუთი) 2:3 (1:1)

ტაშკენტი. „ფახთაქორის“ სტადიონი. 14 ოქტომბერი.

„ფახთაქორი“: იანოვსკი, მაჰომედოვი, მაკაროვი, აჰმედოვი, ხულეიმანოვი (პოსტნოვი), ივანოვი, ბონდარენკო, სინელობოვი (რაზამათოვი), აივაზიანი (რაჰმანოვი), ბაუერი, გესი.

„გურია“. მჭედლიძე, კონდრატიევი, დანელია, ე. თევზაძე, მელიქია, ებანოიძე (მ. თევზაძე), კოპალეიშვილი, გილიგაშვილი, ჩხაიძე (შვეცოვი), ფრიდონიშვილი, აკოფიანი (ი. იმნაძე).

მსაჯი ა. ხოხრიაკოვი (იოშკარ-ოლა).

გააფრთხილეს: ჩხაიძე, აკოფიანი, კოპალეიშვილი, მაჰომედოვი, რაზამათოვი.

ლიგის გათამაშების ფინიშზე ლანჩხუთელი ფეხბურთელებისთვის ყოველ მატჩს დიდი მნიშვნელობა აქვს, მითუმეტეს სტუმრად და ისიც ისეთ გამოცდილ მეტოქესთან, როგორიც „ფახთაქორია“. პირველ ორმხრივ იერიშებში ბურთის გატანა შეეძლოთ მაკაროვს, გესს, კოპალეიშვილს. მიმდინარეობდა მე-10 წუთი, როცა აჰმედოვმა უხეშად ითამაშა თავის საჯარიმო მოედანზე, მსაჯმა 11-მეტრიანი დანიშნა და ფრიდონიშვილმა ზუსტად გამოიყენა ეს შესაძლებლობა, მაგრამ დარტყმის მომენტში ჩხაიძე მეტოქის საჯარიმო მოედანზე შევიდა, მსაჯმა მას გაფრთხილება მისცა და ხელახლა დანიშნა პენალტი. ფრიდონიშვილმა კვლავ ზუსტად დაარტყა — 1:0. ხუთიოდე წუთის შემდეგ სტუმრების მხარეს დაინიშნა საჯარიმო, გესმა ზუსტად გაგზავნა ბურთი მიზანში — 1:1.

რამდენიძე წუთის განახლებული იყო თამაში შესვენების შემდეგ, როცა აკოფიანი სწრაფად გასცდა მცველს, ჩაწოდა კარის წინ დაქ ყველას დასწრო ებანოიძემ — 2:1.

მდგომარეობა უკიდურესად დაიძაბა. 65-ე წუთზე აივაზიანის დარტყმა მოიგერია მეკარე მჭედლიძემ, მაგრამ გესმა დასწრო ყველას და კვლავ გათანაბრა ანგარიში — 2:2.

მიმდინარეობდა 78-ე წუთი. დანელიამ კარგად გადააწოდა კოპალეიშვილს, იგი შეიჭრა „ფახთაქორის“ საჯარიმო მოედანზე და ზუსტად გაიტანა ბურთი, რომელმაც თამაშის ბედი „გურიის“ სასარგებლოდ გადაწყვიტა — 3:2.

ამ მატჩის ინსპექტორი იყო ფეხბურთის ცნობილი სპეციალისტი, სპორტის დამსახურებული ოსტატი **გავრილ კაჩალინი,** რომელსაც ვთხოვეთ თავისი მოსაზრება გამოეთქვა „ლელოს“ მკითხველთათვის:

— „ლანჩხუთელებმა შემტევი, კომბინაციური, წმინდა ქართული სტილის ფეხბურთი აჩვენეს მაყურებლებს, — თქვა გ. კაჩალინმა. — მათ საგრძნობ უპირატესობას მიაღწიეს შუა მინდორში, რასაც სწრაფი გარღვევებით ამთავრებდნენ მეტოქის საჯარიმო მოედანზე. საუკეთესოდ ითამაშეს კოპალეიშვილმა, ჩხაიძემ, ებანოიძემ, დანელიამ. „გურიის“ წლევანდელი წარმატება სავსებით კანონზომიერად, დამსახურებულად მიმაჩნია“.

ავთანდილ ორმოცაძე,
(„ლელოს“ სპეციალური კორესპონდენტი).

ამავე დღეს ბათუმის დინამოელებმა მიიღეს ხაბაროვსკის არმიელთა გუნდი, ამ მატჩის შესახებ ჩვენმა ბათუმელმა კორესპონდენტმა **ოთარ მურმანიძემ** შემდეგი შეგვატყობინა:

— ხაბაროვსკის არმიელებს ჯერ კიდევ აქვთ შესაძლებლობა ლიგაში დარჩენისთვის იბრძოლონ, ამიტომ ისინი ყოველნაირად ცდილობენ გამოიყენონ ეს შესაძლებლობა და ბათუმშიც მთელი ძალით ითამაშეს, რათა თუნდაც ქულა აიღოთ. პირველი 45 წუთის განმავლობაში მინდორზე უკიდურესად დაძაბული ბრძოლა მიმდინარეობდა, მაგრამ ვერც ერთმა მხარემ ვერ შეძლო გოლის გატანა.

იხ. მე-4 გვ.

ᲒᲐᲠᲓᲐᲥᲛᲜᲐ ᲙᲝᲜᲙᲠᲔᲢᲣᲚᲘ ᲡᲐᲥᲛᲘᲗ ᲘᲬᲧᲔᲑᲐ

ᲤᲝᲠᲛᲐᲚᲘᲖᲛᲘ ᲡᲐᲥᲛᲘᲡ ᲛᲢᲔᲠᲘᲐ

(ᲓᲐᲡᲐᲡᲠᲣᲚᲘ)

რესპუბლიკური პროფკავშირული კომიტეტები ატარებენ, უდავოდ კარგი ღონისძიებაა, მაგრამ ხშირად ამ ასპარეზობას წინ არ უსწრებს შიდასაკოლექტივო შეჯიბრებები — მუშა-მოსამსახურეთა ფიზკულტურულ-სპორტულ საქმიანობაში აქტიურად ჩაბმის ეს მნიშვნელოვანი ფორმა. თქვენთან როგორაა საქმე?

— რესპუბლიკაში დარგობრივი სპარტაკიადების ჩატარების მდიდარი ტრადიციები გვაქვს. წინათ სპარტაკიადების მონაწილე მუშა-მოსამსახურეებს სამსახურიდან რამდენიმე დღით ვათავისუფლებდით, ეს კი მოცდენებს იწვევდა. მას შემდეგ, რაც სამუშაო დროის რაციონალურ გამოყენებას მეტი ყურადღება მიექცა, სპარტაკიადებს ცალკეული სახეობების მიხედვით დასვეხების დღეებში ვატარებთ. ასე ჩავატარეთ წლეულს მოთხილამურეთა შეჯიბრება ბაკურიანში, კალათბურთელებმა და ფრენბურთელებმა სოხუმში იასპარეზეს, ტყვიის მსროლელებს ცხაკაიამ უმასპინძლა. ამან დიდი ეფექტი მოგვცა — ნაკლები დრო და თანხები დაიხარჯა. წარმატებით ვატარებთ შიდასაკოლექტივო შეჯიბრებებსაც. დარგის ბევრ საწარმოში გამარჯვებულთათვის დაწესებულია გარდამავალი პრიზები და ფულადი პრემიები. კარგი ტრადიციები აქვს თბილისის მაუდ-კამვოლის კომბინატ „საბჭოთა საქართველოს“, თბილისისა და ქუთაისის აბრეშუმის, გორის ბამბეულის ქსოვილების, თბილისის ფეხსაცმლის, ქუთაისის კიროვის სახელობის სამკერვალო გაერთიანებების, თბილისის კამვოლური დართვის, პირველი მაისის სახელობის სამკერვალო და სართავი ფაბრიკების კოლექტივებს. წლეულს თბილისის მაუდ-კამვოლის კომბინატში შიდასაკოლექტივო სპარტაკიადა ჩატარდა სპორტის 9 სახეობაში, შეჯიბრებებში 700-მდე ფიზკულტურელმა მიიღო მონაწილეობა. თბილისის პირველი მაისის სახელობის სამკერვალო ფაბრიკის სპარტაკიადის პროგრამაში სპორტის 8 სახეობა იყო. სარბიელზე 1400-მდე ფიზკულტურელი გამოვდა. პირველ ადგილზე გასული კოლექტივს 300 მანეთი ფულადი ჯილდო გადაეცა, ასევე დაჯილდოვდნენ მეორე და მესამე ადგილებზე გასული კოლექტივებიც.

სამწუხაროდ, ყველა საწარმოს ხელშეწყობილი ერთნაირი პასუხისმგებლობით როდი ეკიდება მშრომელთა გაჯანსაღების საქმეს. ამიტომაც თბილისის ტყავის საწარმოო გაერთიანებაში, ფეხსაცმლის ფაბრიკა „ნარიყალაში“, სამკერვალო ფაბრიკა „ნადიკვარში“, თელავის წინდებისა და სამკერვალო ფაბრიკებში უკვე რამდენიმე წელია რაც შიდასაკოლექტივო შეჯიბრებები არ ჩატარებულა.

⊙ ხარვეზების აღმოფხვრა ზოგჯერ საკუთარი ძალებით შეუძლებელია. საინტერესოა ფიზკულტურული კოლექტივების ხელმძღვანელები დახმარებისთვის თუ მოგმართავენ.

— ამას წინათ, თბილისის სართავი ფაბრიკის ფიზკულტურული კოლექტივის თხოვნით, დარგობრივი პროფკავშირის ცენტრალურმა კომიტეტმა 40 ათასი მანეთი გამოგვიყო საცურაო აუზის გადასახურავად. სამუშაოები მალე დამთავრდება. გორის ბამბეულის ქსოვილების საწარმოო გაერთიანების მუშებმა უკვე მიიღეს კარგი მოედნები, მაუდ-კამვოლის კომბინატ „საბჭოთა საქართველოს“ ეზოში კი, სადაც ადრე საწყობი და სანაგვე იყო, კალათბურთისა და ფრენბურთის მოედნები, დასასვენებელი კუთხე მოეწყო. ქუთაისის ბამბის საწარმოო გაერთიანებაში ახალგაზრდებმა საკუთარი ძალებით მოაწყეს მარტივი ტიპის სპორტული მოედანი. „ლელოს“ მკითხველებმა იციან, რომ წყნეთის სამკერვალო ფაბრიკის ფიზკულტურის კოლექტივს უსასყიდლოდ გადაეცა შესანიშნავი სპორტული კომპლექსი. უნდა ითქვას, რომ თბილისის კიროვის რაიონში ჩვენი სისტემის ბევრ საწარმოს სპორტული მოედნები არა აქვს ტერიტორიის უქონლობის გამო და ისინი იჯარით იღებენ ახლომდებარე ბაზებს.

⊙ სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა შარშან მიიღო დადგენილება „საკლუბო დაწესებულებებისა და სპორტული ნაგებობების გამოყენების გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ“. როგორ სრულდება თქვენთან ეს სადირექტივო დადგენილება და რა ღონისძიებებს ატარებთ ფიზკულტურულ მუშაობაში ფორმალიზმის აღმოსაფხვრელად?

— შარშან, ოქტომბერში, რესპუბლიკური კომიტეტის პრეზიდიუმის სხდომაზე შესაბამისი დადგენილება მივიღეთ, დავამტკიცეთ ხუთწლიანი გეგმაც. შეიცვალა სპორტული ბაზების მუშაობის რეჟიმი. ახლა ეს ბაზები მთელი კვირის მანძილზე, განსაკუთრებით არასამუშაო დღეებში, მაქსიმალურადაა დატვირთული. აქვე უნდა ითქვას, რომ სიღნაღისა და თელავის სამკერვალო, თელავის წინდებისა და აბრეშუმის ძაფ-საგრეხი ფაბრიკების, თბილისის სამკერვალო ფაბრიკების „ნადიკვარისა“ და „ამირანის“ ფიზკულტურულ კოლექტივებში ჯერ კიდევ არ აღმოფხვრილა ფიზკულტურული ცხოვრების უბოროტესი მტერი — ფორმალიზმი. უფრო ქაღალდზე აქვთ ყველაფერი წესრიგში. იქ ფორმალურად ეკიდებიან მშრომელთა გაჯანსაღების საქმეს, ნაკლებად იყენებენ საკუთარ თუ ახლომდებარე სპორტულ მოედნებს. ცხადია, მათი წარმომადგენლები არც დარგობრივ-რესპუბლიკურ სპორტაკიადებში მონაწილეობენ.

ჩვენი კომიტეტი სწავლობს ამ კოლექტივებში შექმნილ მდგომარეობას და უთუოდ მივიღებთ გადამჭრელ ზომებს.

საუბარი ჩაიწერა
ᲗᲐᲨᲐ ᲓᲐᲜᲔᲚᲘᲐᲨ.

რა ᲗᲐᲙᲘᲗᲮᲐ „ᲚᲔᲚᲝᲡ“ ᲙᲠᲘᲢᲘᲙᲣᲚᲘ ᲒᲐᲛᲝᲡᲕᲚᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ

ᲛᲔᲝᲠᲔ [illegible]

ᲛᲐᲠᲗᲚᲐᲪ მეორე ცდა დასჭირდა კიევის ორგანიზაცია „სოიუზსპორტსინთეტიკას“ იმისათვის, რომ თბილისის „დინამოს“ სტადიონის მძლეოსნური სექტორი საბოლოოდ მოწესრიგებული ჩაებარებინა სტადიონის ,დირექციისათვის. უკვე ვწერდით იმის შესახებ, რომ ძირითადი სამუშაოების დამთავრების შემდეგ სპეციალისტთა კომისიამ სარბენი ბილიკების ნაწილი უვარგისად ჩათვალა. იმ სიძნელეების შესახებაც გაცნობეთ, რაც მოიჯარადეების კვლავ თბილისში დაბრუნებასთან იყო დაკავშირებული. [illegible] ევროპელ სპეციალისტებმა [illegible] პირნათლად შეასრულეს ადებული ვალდებულება. სპორტკომბინატ „დინამოს“ დირექტორმა ვაჟა ყენტმა გვითხრა: „მშენებლებმა ამჯერად დროულად დაამთავრეს სამუშაოები, მაგრამ მთავარი მაინც მძლეოსნობის სპეციალისტთა აზრი იყო. ამიტომ ჩვენ კვლავ მოვიწვიეთ ავტორიტეტული კომისია, რომელმაც დადებინი შეფასება მისცა ხელახლა შეკეთებულ მძლეოსნურ სექტორს“.

ᲨᲔᲓᲔᲒᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲪᲐᲚ-ᲪᲐᲚᲙᲔ ᲨᲔᲯᲐᲛᲓᲐ

ᲒᲐᲘᲛᲐᲠᲗᲐ „დინამოს“ ცენტრალური საბჭოს ვაჟთა, ჭაბუკთა და გოგონათა ღია პირველობა, რომელშიც 42 მოჭადრაკემ მიიღო მონაწილეობა. საქართველოს რვა ქალაქის წარმომადგენელთა გარდა შეჯიბრების ორგანიზატორებმა სამი მოჭადრაკე აზერბაიჯანიდან მოიწვიეს. ტურნირი შვეიცარიული სისტემით, 9 ტურად ჩატარდა. ვაჟების, ჭაბუკებისა და გოგონების შედეგები ცალ-ცალკე შეჯამდა.

ვაჟთა შორის I-II ადგილები გაიყვეს სოხუმელმა ოსტატმა ალიკპერ შახტახტინსკიმ და რუსთაველმა ოსტატობის კანდიდატმა გიორგი ბიბილაშვილმა. თითოეულმა 6,5-6,5 ქულა მოაგროვა, მაგრამ უკეთესი კოეფიციენტის გამო გამარჯვებულის სახელი სოხუმელ მოჭადრაკეს მიეკუთვნა. მესამე იყო ოვი, კარაბანდულინცი (სოხუმი).

ჭაბუკთა შორის უძლიერესი იყო ქუთაისელი ოსტატობის კანდიდატი ირაკლი იოსელიანი — 6,5 ქულა. მეორე შედეგი ჰქონდა რუსთაველ ოსტატობის კანდიდატს თენგიზ ტაკაძეს — 6, მესამე ადგილზე ზუგდიდელი გიზო ჭურღულია გავიდა — 5,5 ქულა.

გოგონებში 4,5 ქულით ყველას აჯობა რუსთაველმა მოჭადრაკემ მზია ფანიაშვილმა. II-III ადგილებზე ჟანა ხაჩატუროვა და ნინო ეძგვერაძე გავიდნენ (ორივე—თბილისი) — 3,5-3,5 ქულა.

ᲒᲘᲝᲠᲒᲘ ᲤᲐᲛᲘᲚᲘᲐᲜᲗᲘ,
„დინამოს“ რესპუბლიკური საბჭოს უფროსი მწვრთნელი ჭადრაკში, საკავშირო კატეგორიის მსაჯი.

ᲛᲝᲙᲚᲔᲓ

ᲗᲔᲠᲯᲝᲚᲐ. პიონერთა ქალაქ „საპოვნელას“ საცურაო აუზში გაიმართა სარაიონო პირველობა ცურვაში მშდ მრავალჭიდის პროგრამით. შეჯიბრებაში, რომელშიც რაიონის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების ნაკრები გუნდები მონაწილეობდნენ, საშუალო სკოლებს შორის I ადგილი მოიპოვა ნაგარევის საშუალო სკოლის გუნდმა, რვაწლიან სკოლებს შორის კი ყველას ტყიბულჰესის სკოლის მოცურავეებმა აჯობეს.

ᲕᲐᲜᲝ ᲙᲣᲗᲐᲚᲐᲫᲔ,
„ლელოს“ კორესპონდენტი.

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲦᲘᲐ ᲩᲔᲛᲞᲘᲝᲜᲐᲢᲘ ᲬᲧᲐᲚᲡᲐᲗᲮᲘᲚᲐᲛᲣᲠᲝ ᲡᲞᲝᲠᲢᲨᲘ

ᲨᲝᲠᲡ ᲐᲚᲐᲠ ᲐᲠᲘᲡ ᲘᲡ ᲓᲠᲝ...

ᲡᲐᲙᲐᲕᲨᲘᲠᲝ სპარტაკიადის დამთავრების შემდეგ გამართულ ნებისმიერ რესპუბლიკურ შეჯიბრებაზე, ასე ვთქვათ, კვლავ სასპარტაკიადო განწყობილება იგრძნობა.

IX სპარტაკიადაზე საქართველოს წყალმოთხილამურეთა ნაკრები VI ადგილს უმიზნებდა და დაიკავა კიდეც, ქულებიც გათვალისწინებულზე მეტი მოიპოვა (27-ის ნაცვლად — 42) ასე რომ, ამ რამდენიმე დღის წინ ფოთში გამართულ რესპუბლიკის ღია ჩემპიონატში მოასპარეზე ჩვენი წყალმოთხილამურეები, მათი მწვრთნელები, სპეციალისტები და შეჯიბრების ორგანიზატორები წესით ცუდ გუნებაზე არ უნდა ყოფილიყვნენ, მაგრამ ჭირვეულმა ამინდმა ყველა დაანაღვლიანა. ასპარეზობის პირველსავე დღეს ისეთი ქარი ამოვარდა, ისე გაავდრდა, რომ შეჯიბრება რამდენჯერმე შეწყდა. მეორე დღესაც იგივე განმეორდა — ფინალს ვინღა დაეძებდა, სპორტსმენებმა ასპარეზობის ძირითადი პროგრამაც ძლივს დაასრულეს და მსაჯები იძულებული გახდნენ ადგილები ამ პროგრამაში ნაჩვენები შედეგების მიხედვით გაენაწილებინათ. არადა, თითქოს განგებო, სწორედ იმ დროს, როცა „ოქროს ტბის“ სანაპიროზე, ფოთის საოკეანო თევზჭერის სამმართველოს სპორტკლუბ „ალიას“ ბაზაზე შეკრებილი ფოთელი, თბილისელი, ხარკოველი, მოსკოველი და მინსკელი წყალმოთხილამურეები გამოდარებას უცდიდნენ, წყნარმა და მშვიდმა ამინდმა სევასტოპოლში მიმდინარე აფროსანთა საკავშირო ჩემპიონატის მონაწილეებს „აურია დავთრები“ — სრული შტილის გამო რეგატის მონაწილენი სტარტიდან ნაპირზე ორჯერ თუ სამჯერ ბუქსირით დააბრუნეს. ერთი სიტყვით, ეს ბედის ირონია გახლდათ, მაგრამ შეჯიბრებამ ერთ რამეში აშკარად დაგვარწმუნა: ჩვენი ქვეყნის უძლიერესი წყალმოთხილამურეები სიამოვნებით ჩამოდიან ფოთში საასპარეზოდ და ალბათ შორს აღარ არის ის დრო, როცა აქ ოფიციალური საკავშირო შეჯიბრებები გაიმართება. ცხადია, საუკეთესო სპორტსმენებთან ხშირი კონტაქტი ჩვენს წყალმოთხილამურეებს დაოსტატებაშიც შეუწყობს ხელს. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ამ შეჯიბრებამ ერთგვარად შეაჯამა ჩვენში წყალსათხილამურო სპორტის აღორძინება-განვითარების ახლანდელი ეტაპი, რომლის კულმინაცია ჩვენი სპორტსმენების სპარტაკიადაზე გამოსვლა იყო. სასიხარულოა, რომ მოძმე რესპუბლიკათა სპორტული დელეგაციების უმძაფრეს ჭიდილში, გამოცდილ და სახელოვან სპორტსმენებთან ბრძოლაში თავიანთი სიტყვა თქვეს ფოთელმა მოსწავლეებმა, რომლებმაც, როგორც იტყვიან, სულ გუშინ დაიწყეს ვარჯიში და მათ ჯერ ყველაფერი წინა აქვთ. აღსანიშნავია ისიც, რომ შეჯიბრების მონაწილეთა სიაში 15 თბილისელი დამწყები სპორტსმენის გვარი და სახელი ვიხილეთ. დიახ, სპორტსაზოგადოება „სპარტაკის“ რესპუბლიკური საბჭოს საწყლოსნო სახეობების ბავშვთა და მოზარდთა კომპლექსური სპორტსკოლა შეგირდებს იმრავლებს, მაგრამ თუ ფოთელებსა და თბილისელებს სხვებმაც, პირველ ყოვლისა სოხუმელებმა და ბათუმელებმაც დროზე არ მიბაძეს, ჩვენში ეს სახეობა კვლავ ორიოდე რეგიონის „საკუთრებად“ დარჩება.

საქართველოს ღია ჩემპიონატში, როგორც ცალკეულ სახეობებში, ისე მრავალჭიდში, საუკეთესო ადგილებს, რა თქმა უნდა, ვერავინ შეეცილებოდა კონკურსგარეშე მოასპარეზე გამოცდილ და ტიტულოვან სტუმრებს, საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატებს მინსკელ მარინა ომელიანჩიკს, მოსკოველებს ოლგა გუბარენკოსა და ალექსეი კორბუკოვს. ჩვენს სპორტსმენთაგან კი გამარჯვებულთა შორის ნაცნობი სახელები გვხვდება: ხათუნა კორკელია, დები — ანეელა და ვიკა ბესელიები, გენადი პეტრუხინი, დიმიტრი კობიალკო, გიორგი სურგულაძე და სხვები. ამ სპორტსმენებს, რესპუბლიკის ნაკრები გუნდის წევრებს, სპორტის ოსტატობის კანდიდატებს სპეციალისტები კარგად იცნობენ, ამიტომ მათი ყურადღება ამჯერად პატარებისკენ იყო მიპყრობილი და აი, მწვრთნელებმა უბის წიგნაკში ახალი სახელები ჩაინიშნეს: 1976 წელს დაბადებული ფოთელი ირაკლი მელია, თბილისელები — მიხეილ შენგელია (1979), ზაალ ქაჯაია (1975) და ეკა ბაბუნიძე (1974).

ᲗᲐᲛᲐᲖ ᲛᲘᲖᲠᲘᲐᲣᲚᲘ.

ᲔᲜᲗᲣᲖᲘᲐᲡᲢᲘ

ᲡᲞᲝᲠᲢᲘᲗ და სპორტული მუშაობით მისი გატაცება სკოლაში დაიწყო. რა დაავიწყებს ქ. მახარობლიშვილის ფიზკულტურის გაკვეთილებს... იმთავითვე ფრენბურთი ამჯობინა. მერე, როცა დრო გავიდა და ქვემომაჩხაანელი თენგიზ შანშაშვილი მიხვდა, რომ სპორტულ მიღწევებს ვეღარ გაუმჯობესებდა, სოფლის ახალგაზრდების სპორტით დაინტერესებაზე დაიწყო ზრუნვა. ადგა და ახალგაზრდები შეკრიბა. ფრენბურთელთა გუნდი ჩამოაყალიბა. გუნდმა რაიონის პირველობაზე გამართულ შეჯიბრებაში ბევრჯერ გაიმარჯვა. როცა სოფელში სარბიელის განახლებას შეუდგნენ, სოფლის ახალგაზრდებს შანშაშვილი ჩაუდგა სათავეში. ყველამ ერთად დაიკაპიწა ხელები. გარჯამ ნაყოფიც გამოიღო. ახლა ქვემო მაჩხაანში ხშირად იმართება სპორტული პაექრობები. თავისუფალ დროს ახალგაზრდები აქტიურად ისვენებენ, ვარჯიშობენ, ჯანმრთელობას იკაჟებენ, მკლავისა და მუხლის ძალას მეზობელი სოფლის ძლიერ გუნდებთან ბრძოლაში ამოწმებენ.

დღეს სოფლის შარაგზაზე ვეღარ იხილავთ უსაქმოდ მდგარ ახალგაზრდებს. საღამოობით ყველას მოედნისაკენ მიეჩქარება.

ამ სიახლემ მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი ახალგაზრდების საზოგადოებრივი ინიციატივის გამოვლენას. აქაც დიდი წვლილი მიუძღვის ახალგაზრდა კომუნისტს, კოლმეურნეობის ფიზკულტურის მეთოდისტს თენგიზ შანშაშვილს, რომელიც სოფლად სპორტული საქმიანობის განახლებით აგრძელებს თავის სპორტულ ბიოგრაფიას.

ᲚᲘᲐ ᲛᲐᲠᲗᲐᲨᲕᲘᲚᲘ,
რუსთავის საქალაქო რადიოს რედაქტორი.

სსრ კავშირის ხალხთა IX სპარტაკიადა

მხოლოდ სტატისტიკა

მკითხველი — გაზეთი

ძვირფასო მეგობრებო! ჩვენ, სპორტის გულშემატკივრები უურადღებით ვადევნებდით თვალს საბჭოთა კავშირის ხალხთა IX სპარტაკიადას და მასში საქართველოს სპორტსმენთა გამოსვლას. ვიცით, რომ ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენლებმა მთელ რიგ სახეობებში კარგად იასპარეზეს, სპარტაკიადის ჩემპიონები და პრიზიორები გახდნენ. თუ გაქვთ საშუალება იქნებ დაბეჭდოთ მათი სია? ჩვენ, ნებისმიერ ინფორმაციას ხალხთა სპარტაკიადის შესახებ უურადღებით და ინტერესით მივიღებთ.

ვახტანგ ჯანელიძე, გიორგი ნებიერიძე და რომან ბასილაშვილი.
თბილისი.

— სსრ კავშირის ხალხთა IX სპარტაკიადის ფინალური შეჯიბრებებით დასრულდა ჩვენი ქვეყნის ხალხთა ფიზიკური კულტურისა და სპორტის ფესტივალი, რომელიც დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 70 წლისთავს ეძღვნებოდა.

500 სპორტსმენისაგან შემდგარმა საქართველოს დელეგაციამ ამ კომპლექსურ შეჯიბრებაში ოქროს 19, ვერცხლის 8 და ბრინჯაოს 18 მედალი მოიპოვა (სპორტის ტექნიკურ სახეობებში ჩემპიონებსა და პრიზიორებს ცალკე გაგაცნობთ). ვასრულებთ თქვენს თხოვნას და ამჯერად წარმოგიდგენთ სსრ კავშირის ხალხთა IX სპარტაკიადის ჩემპიონებსა და პრიზიორებს.

ოქროს მედალოსნები

მაია აზარაშვილი („კოლმეურნე“, თბილისი) — მძლეოსნობა. რბენა 100 და 200 მ.
ვლადიმერ გოგოლაძე (შეიარაღებული ძალები, „ლოკომოტივი“, თბილისი) — ტანვარჯიში. ხტომები.
ფატი სულაქველიძე („შრომითი რეზერვები“, თბილისი) — აკრობატიკა. ხტომები.
ალთანდილ გოგოლიშვილი (შეიარაღებული ძალები, თბილისი) — თავისუფალი ჭიდაობა. 82 კგ.
ლერი ხაბელოვი (შეიარაღებული ძალები, თბილისი) — თავისუფალი ჭიდაობა. 100 კგ.
ავით გობეჯიშვილი („დინამო“, თბილისი, ქუთაისი) — თავისუფალი ჭიდაობა. მძიმე წონა.
ლევან ბასილაშვილი („კოლმეურნე“, საგარეჯო) — სამბო, 52 კგ.
ეკა ზეთურიძე („დინამო“, თბილისი) — ტანვარჯიში. ბჯენითი ხტომები.
ალექსანდრე ლებედევი (შეიარაღებული ძალები, თბილისი) — ტანვარჯიში. რგოლები.
ვახტანგ ჯაფარიძე („დინამო“, თბილისი) — ძიუდო. 60 კგ.
ბა კურტანიძე (გორი) — ძიუდო. 95 კგ.
ალთანდილ გუბელაძე („დინამო“, ქუთაისი) — ძიუდო. მძიმე წონა.
აკაკი კობორძალიძე („დინამო“, ქუთაისი) — ძიუდო. აბსოლუტური კატეგორია.
ოლეგ სტრიუკოვი („დინამო“, თბილისი) — მძლეოსნობა. რბენა 5000 მ.
ტარიელ ბიწაძე („დინამო“, სოხუმი) — მძლეოსნობა. ბირთვის კვრა.
გიორგი ჩოგოვაძე („განთიადი“, თბილისი) — წყალში ხტომა. კოშკი.
ოსუდან ხოფერია („შრომითი რეზერვები“, თბილისი) — ბატუტზე ხტომა. ერთეულები.
გოდერძი ახობაძე („შრომითი რეზერვები“), ოლეგ სლივკოვი, გიორგი ალაპიშვილი, ვახტანგ ბოტკოველი (ყველა — შეიარაღებული ძალები, თბილისი) — აკრობატიკა, ოთხეული.

ვერცხლის მედალოსნები

ვლადიმერ გოგოლაძე — ტანვარჯიში, მრავალჭიდი.
ვიჩა ხდრიანი (შეიარაღებული ძალები, თბილისი) — კრივი. 54 კგ.
ალბერტ კაზანჯიანი (შეიარაღებული ძალები, თბილისი) — კრივი. 57 კგ.
ზაზა თურმანიძე (შეიარაღებული ძალები, თბილისი) — თავისუფალი ჭიდაობა. მძიმე წონა.
ვასილ ქარსელაძე (შეიარაღებული ძალები, თბილისი) — კლასიკური ჭიდაობა. მძიმე წონა.
გიორგი სირბილაძე, ნიკოლოზ მიქაუტაძე (ორივე — „კოლმეურნე“, ქუთაისი) — აკადემიური ნიჩბოსნობა. ორადგილიანი გასაშლელი.
ბერაბ ბაზაძე („დინამო“, თბილისი, წყალტუბო), ირაკლი გვარამაძე („ბურევესტნიკი“, თბილისი), აკაკი მახარაძე (შეიარაღებული ძალები, „ბურევესტნიკი“, თბილისი), ზაზა მჭედლიძე (შეიარაღებული ძალები, თბილისი), დავით თურქია (შეიარაღებული ძალები, „ბურევესტნიკი“, თბილისი) — ფარიკაობა. ხმალი, გუნდური.
ალექსანდრე ბითაძე, დიმიტრი რამიშვილი, მიხეილ გიორგაძე, გიორგი გობეჯიშვილი, გიორგი კერესელიძე, ვარლამ მაჭავარიანი, ნოდარ ჩოლარია (ყველა — „დინამო“), თემურ ღვალაძე, მამუკა კელაურაძე, თემურაზ კობახიძე, ირაკლი ლიპარტელიანი, მიხეილ ფანჩულიძე, ლევან წულაძე (ყველა — შეიარაღებული ძალები, თბილისი) — წყალბურთი.

ბრინჯაოს მედალოსნები

ვლადიმერ გოგოლაძე — ტანვარჯიში. ტაიჭი.
გიორგი ჩოგოვაძე — წყალში ხტომა. ტრამპლინი.
სარტაკ ახანიძე („განთიადი“, ჭიათურა) — კრივი. მძიმე წონა.
დავით ხოდელი („კოლმეურნე“, კასპი) — სამბო. 90 კგ.
რობერტ ძიძიშვილი („კოლმეურნე“, თბილისი, დუშეთი) — სამბო. მძიმე წონა.
ოთარ მჭედლიშვილი (შეიარაღებული ძალები, თბილისი) — ველოტრეკი. გეტი 1000 მ.
გენადი გოდუნოვი („დინამო“, თბილისი) — ველოტრეკი. ინდივიდუალური რბოლა.
ლერი ნაკანი („დინამო“, მესტია) — ძიუდო. 71 კგ.
ეგურ გოგიჩაშვილი („ბურევესტნიკი“, გორი) — ძიუდო. 78 კგ.
ზურაბ მემარნიშვილი („კოლმეურნე“, თბილისი) — მძლეოსნობა. რბენა 100 მ.
ვახტანგ მინაშვილი („ბურევესტნიკი“, თბილისი) — მძლეოსნობა. სიგრძეზე ხტომა.
ვახტანგ იაგორაშვილი (შეიარაღებული ძალები, თბილისი) — თანამედროვე ხუთჭიდი.
ნინო ხალუქვაძე (შეიარაღებული ძალები, თბილისი) — ტყვიის სროლა. პპ-2.
ვლადიმერ გოგოლაძე, ამირან ბერიანიძე, ალექსანდრე ლებედევი, ზაზა ნომასურიძე (ყველა — შეიარაღებული ძალები), ნუგზარ ღვინიაშვილი, ლევან სისაური (ორივე — პროფკავშირების სპორტსაზოგადოება, თბილისი) — ტანვარჯიში. გუნდური შეჯიბრება.
ელენე აბაზაძე, თამარ ქუმსიაშვილი (ორივე — „ბურევესტნიკი“), იზოლდა მთავრიშვილი, ინგა ჩხაიძე (ორივე — შეიარაღებული ძალები), ფეკრია ფანქველაშვილი („დინამო“), ევგენია შირინკინა („შრომითი რეზერვები“, ყველა — თბილისი) — მხატვრული ტანვარჯიში. ჯგუფური ვარჯიში.
გენადი კიზირია (შეიარაღებული ძალები, თბილისი), აკაკი ხიზანიშვილი („კოლმეურნე“, მცხეთა) — აკადემიური ნიჩბოსნობა. ორადგილიანი წყვილმოსასმელიანი.
მარინე შალაშვილი, ინგა გიორგობიანი, ნატალია ანისიმოვა (ყველა — შეიარაღებული ძალები, თბილისი) — აკრობატიკა, სამეულები.
ია ალავიძე, ნინო გელაშვილი, ოლგა დიაკოვა, ნინო მაისურაძე, ლეილა მაჭიური, ქრისტინე ფალახინიდი (ყველა — „კოლმეურნე“, თბილისი), ანელა ვოზნიუკი, ელიხო მარგველაშვილი (ორივე — „კოლმეურნე“, ქუთაისი) — სინქრონული ცურვა. ჯგუფური ვარჯიში.

რომელ სახეობაში რამდენი მედალი მოვიპოვეთ

	ოქრო	ვერცხლი	ბრინჯაო	სულ
ძიუდო	4	—	2	6
მძლეოსნობა	4	—	2	6
ტანვარჯიში	3	1	2	6
თავის. ჭიდაობა	3	1	—	4
აკრობატიკა	2	—	1	3
სამბო	1	—	2	3
კრივი	—	2	1	3
წყალში ხტომა	1	—	1	2
აკად. ნიჩბოსნობა	—	1	1	2
ველოტრეკი	—	—	2	2
ხტომა ბატუტზე	1	—	—	1
ფარიკაობა	—	1	—	1
კლასიკ. ჭიდაობა	—	1	—	1
წყალბურთი	—	1	—	1
მხატვრ. ტანვარ.	—	—	1	1
სინქრ. ცურვა	—	—	1	1
თანამედრ. ხუთჭიდი	—	—	1	1
ტყვიის სროლა	—	—	1	1
სულ	19	8	18	45

სპორტსაზოგადოებათა და უწყებათა ნადავლი

	მონაწილეთა რაოდენობა	ქულები
შეიარაღებული ძალები	150	1560,79
„დინამო“	88	782,17
„კოლმეურნე“	70	764,92
„შრომითი რეზერვები“	28	393,41
„ლოკომოტივი“	28	286,33
„ბურევესტნიკი“	85	255,84
„განთიადი“	39	242,27
„სპარტაკი“	24	224,96
„ვოდნიკი“	15	83,5
„ზენიტი“	7	69,66
სულ	500	4253,5

შენიშვნა: ქულათა ჯამში შესულია სპორტული საზოგადოებების პარალელური ჩათვლის ქულებიც.

ქალაქებისა და რაიონების სპორტსმენთა მედლები

	ოქრო	ვერცხლი	ბრინჯაო	სულ
თბილისი	14	7	13,25	34,25
ქუთაისი	2(1)	1	0,25	3,25(1)
გორის რაიონი	1	—	1	2
აფხაზეთი	1	—	—	1
საგარეჯო	1	—	—	1
ჭიათურა	—	—	1	1
კასპი	—	—	1	1
მესტია	—	—	1	1
მცხეთა	—	—	0,5	0,5
წყალტუბო	—	(1)	—	(1)
დუშეთი	—	—	(1)	(1)

შენიშვნა: ფრჩხილებში აღნიშნულია პარალელური ჩათვლა.

საქართველოს სპორტსმენთა გუნდური ადგილები

		მონაწილეთა რაოდენობა	ქულები
2 ადგილი.	წყალბურთი	13	120 ქულა
2 ადგილი.	ძიუდო	8	209,5
3 ადგილი.	აკრობატიკა	17	246
3 ადგილი.	სინქრონული ცურვა	8	184
3 ადგილი.	წყალში ხტომა	8	120
3 ადგილი.	ჩოგბურთი	10	253,5
4 ადგილი.	ტანვარჯიში	12	333
4 ადგილი.	ხელბურთი (ვაუები)	14	80
5 ადგილი.	თავისუფალი ჭიდაობა	12	219
5 ადგილი.	ბატუტზე ხტომა	8	170,5
6 ადგილი.	წყალთხილამურები	6	49
6 ადგილი.	ბალახის ჰოკეი (ვაუები)	16	56
6 ადგილი.	ჭადრაკი (ვაუები)	5	28
7 ადგილი.	კრივი	14	169,5
7 ადგილი.	კლასიკური ჭიდაობა	11	130
7 ადგილი.	მხატვრული ტანვარჯიში	9	80
7 ადგილი.	ფარიკაობა	19	116
7 ადგილი.	ჭადრაკი (ქალები)	3	22
8 ადგილი.	ბადმინტონი	8	44,5
8 ადგილი.	ველოტრეკი	9	103,5
8 ადგილი.	სასტენდო სროლა	6	40
9 ადგილი.	მშვილდოსნობა	8	13
10 ადგილი.	სამბო	10	121
10 ადგილი.	აკადემიური ნიჩბოსნობა	33	328
10 ადგილი.	მძლეოსნობა	37	403,5
10 ადგილი.	აფროსნობა	15	126
10 ადგილი.	თანამედროვე ხუთჭიდი	4	31
11 ადგილი.	ცურვა	18	154
12 ადგილი.	ნიჩბოსნობა (საბაიდარო და კანოე)	9	96
12 ადგილი.	ცხენოსნობა	11	48
12 ადგილი.	ძალოსნობა	7	53
13 ადგილი.	საგზაკეცილო ველოსპორტი	9	16
13 ადგილი.	ტყვიის სროლა	18	88
14-15 ადგილი.	მაგიდის ჩოგბურთი	8	10
9-14 ადგილი.	კალათბურთი (ვაუები)	12	0
9-14 ადგილი.	ბალახის ჰოკეი (ქალები)	16	0
9-15 ადგილი.	ფრენბურთი (ვაუები)	12	0
9-15 ადგილი.	ხელბურთი (ქალები)	14	0
9-16 ადგილი.	კალათბურთი (ქალები)	12	0
9-16 ადგილი.	ფრენბურთი (ქალები)	12	0
9-17 ადგილი.	ფეხბურთი	19	0
	სულ	500	4253,5

უმაღლესი სპორტული ოსტატობის სკოლების ნადავლი

	მონაწილეთა რაოდენობა	ქულები
უმაღლესი სპორტული ოსტატობის № 3 სკოლა	110	1177
უმაღლესი სპორტული ოსტატობის ტანვარჯიშის სკოლა	29	599,5
უმაღლესი სპორტული ოსტატობის ჭიდაობის სკოლა	41	679,5
უმაღლესი სპორტული ოსტატობის № 2 სკოლა	87	558,5
უმაღლესი სპორტული ოსტატობის № 1 სკოლა	142	494
უმაღლესი სპორტული ოსტატობის მძლეოსნობის სკოლა	37	403,5
უმაღლესი სპორტული ოსტატობის ველოსპორტის სკოლა	18	119,5
ფეხბურთის სამმართველო	19	0
განათლების სამინისტროს ოლიმპიური რეზერვების სკოლა	16	222

უმაღლესი სპორტული ოსტატობის სკოლების სპორტსმენთა მედლები

	ოქრო	ვერცხლი	ბრინჯაო	სულ
უმაღლესი სპორტული ოსტატობის ჭიდაობის სკოლა	[illegible]	2	4	14
უმაღლესი სპორტული ოსტატობის ტანვარჯიშის სკოლა	1	3	5	9
უმაღლესი სპორტული ოსტატობის მძლეოსნობის სკოლა	4	—	2	6
უმაღლესი სპორტული ოსტატობის № 3 სკოლა	1	2	3	6
უმაღლესი სპორტული ოსტატობის № 2 სკოლა	—	3	3	6
უმაღლესი სპორტული ოსტატობის ველოსპორტის სკოლა	—	—	2	2
განათლების სამინისტროს ოლიმპიური რეზერვების სკოლა	1	—	1	2

კიდევ ერთი ტაიმ-აუტი

14 ოქტომბერს ბორჯომში უნდა გათამაშებულიყო ჩიბურდანიძე — ახმილოვსკაიას მატჩის მე-13 პარტია. მაგრამ რადგან პრეტენდენტმა აიღო ტაიმ-აუტი, ეს შეხვედრა რეგლამენტით დღეს უნდა მოეწყოს.

სსრ კავშირის 46-ე ჩემპიონატი ჰადრაკში

განვლილია ოთხი ტური

ფრუნზე, 15 ოქტომბერი **(დეპეშით, „ლელოს“ სპეციალური კორესპონდენტი).** ყირგიზეთის დედაქალაქში სტარტიდანვე დაიძაბა მდგომარეობა, ბევრი პარტია დაუმთავრებელი რჩება. ოთხი ტურის მანძილზე სულ 20 შეხვედრა გადაიდო. ახლა სამი ტურის შემდეგ გადადებული პარტიების დამთავრებისა და IV ტურის შედეგებს გთავაზობთ.

I ტურიდან გადადებულ პარტიაში ალმაათელი ფლორა უსკოვა თამაშის განუახლებლად დანებდა ქეთევან არახამიას. გულნარა სახატოვა (ალმა-ათა) და ნატალია რუჩიევა (სევასტოპოლი) დაზავდნენ.

არახამიასთან შეხვედრაში ჰენრიეტა ლაგვილავამაც თამაშის განუახლებლად ცნო თავი დამარცხებულად (II ტური). ლიდია სემიონოვამ (კიევი) მოუგო რიგელ ტატიანა ვორონოვას, სვეტლანა მატვეევამ (ფრუნზე) — ლიუდმილა ზაიცევას (მოსკოვის ოლქი). ყაიმით დამთავრდა კამილე ბაგინსკაიტესა (ვილნიუსი) და ესფირ ეპშტეინის (კლაიპედა) შეხვედრა.

III ტურიდან გადადებულ შეხვედრაში ნანა იოსელიანმა ზუსტად გამოიყენა მატერიალური უპირატესობა (მას ზედმეტი პაიკი ჰქონდა) და დაამარცხა ვორონოვა. სემიონოვამ მოუგო ეშტეინს. დაზავდნენ მარტა ლიტინსკაია (ლვოვი) — უსკოვა და ზოია ელჩუკი (ლვოვი) — სვეტლანა პრუდნიკოვა (ბალაკოვო). დანარჩენი პარტიები კვლავ გადაიდო.

IV ტურში სულ სამი პარტია დამთავრდა და სამივეში ყაიმი აღინიშნა. დაზავდნენ უსკოვა—ირინა ლევიტინა (ლენინგრადი), ნატალია რუჩიევა (სევასტოპოლი) — ელჩუკი, მუჩნიკი — ვორონოვა.

IV ტურის დანარჩენი შეხვედრები გადაიდო. ლაგვილავამ და ლიტინსკაიამ სიცილიური დაცვა გაითამაშეს და გადადებულ პოზიციაში ქუთაისელი მოჭადრაკე მოგების დიდ შანსს ინარჩუნებს. იოსელიანს ზედმეტი პაიკი აქვს ეშტეინთან ორთაბრძოლაში. რთულ პოზიციაში გადაიდო არახამია—სახატოვას პარტია. ნინო სგურიელის ავადმყოფობის გამო არ შედგა მისი შეხვედრა პრუდნიკოვასთან.

4 ტურის შემდეგ 2 ქულა და ორი გადადებული პარტია აქვს არახამიას. იოსელიანს, გურიელს, სემიონოვას, რუჩიევას, ელჩუკს და სახატოვას 2-2 ქულა და თითო გადადებული პარტია აქვთ. ლევიტინამ 1,5 ქულა მოაგროვა, მასაც ორი პარტია აქვს გადადებული.

იაკობ ლაიდუსი.

18 ოქტომბერს...

შაბათს, 18 ოქტომბერს თბილისში იწყება საბჭოთა კავშირის გუნდური ჩემპიონატი თანამედროვე ხუთეულში. გთავაზობთ შეჯიბრების განრიგს:

18 ოქტომბერი. 10 სთ. ფარიკაობა (ვაკის საფარიკაო დარბაზი).

19 ოქტომბერი. 11 სთ. ცხენოსნობა (თბილისის იპოდრომი).

20 ოქტომბერი. 11 სთ. ცხენოსნობა; 17 სთ. ცურვა (ლენინური კომკავშირის სახელობის საწყლოსნო კომპლექსი).

21 ოქტომბერი. 11 სთ. ტყვიის სროლა (დოსაფის ტირი, ვამლიჯვარი).

22 ოქტომბერი. 12 სთ. მძლეოსნური კროსი (იპოდრომი).

„გურიის“ შესანიშნავი პერსპექტივები

(დასასრული)

შესვენების შემდეგ, 77-ე წუთზე სტუმრების მცველებმა შეცდომა დაუშვეს, ამით ისარგებლა გორგილაძემ და ახლო მანძილიდან თავით გაგზავნა ბურთი მეკარე კარავაევის კარში — 1:0. დარჩენილ დროში ანგარიში არ შეცვლილა, თუმცა, 88-ე წუთზე სტროგოვს შეეძლო საპასუხო ბურთი გაეტანა.

ბათუმის „დინამომ“ ამ მატჩში ასეთი შემადგენლობით ითამაშა: კუცია, გოგიტიძე, ანდღულაძე, დურდიაძე, ჩიქოვანი, ზედანია, კიკლიაშვილი, ათუაშვილი, მენაბდე, გორგილაძე, მაისურაძე.

განვლილი ტურის სხვა შეხვედრათა შედეგები: „შინიკი“ (იაროსლავლი) „ისკრა“ (სმოლენსკი) 0:0, „კოტაიკი“ (ბოვიანი) — „კუზბასი“ (კემეროვო) 1:2, „ლოკომოტივი“ (მოსკოვი) — „კოლოსი“ (ნიკოპოლი) 2:1, „ფაკელი“ (ვორონეჟი) — „მეტალურგი“ (ზაპოროჟიე) 1:0, „ყუბანი“ (კრასნოდარი) — „დინამო“ (სტავროპოლი) 0:2, ასკ (დონის როსტოვი) — „როსტსელმაში“ (დონის როსტოვი) 2:3.

შემდგომ, 42-ე ტურში 17 ოქტომბერს ლანჩხუთის „გურია“ დუშანბეში შეხვდება ლიდერთა ჯგუფში მყოფ „პამირს“, ხოლო ბათუმის დინამოელები შინ მიიღებენ კემეროვოს „კუზბასს“. ამ ტურში რიგის „დაუგავა“ თავის მინდორზე მიიღებს ვოლგოგრადის „როტორს“, ცსკა კი კლაიპედაში შეხვდება „ატლანტასს“.

მეტად საყურადღებო მატჩი გაიმართება 20 დეკემბერს: „დაუგავა“ — ცსკა.

გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 16 ოქტომბრისთვის

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„დაუგავა“	38	22	10	6	71-38	54
„გურია“	39	23	5	11	65-56	51
ცსკა	38	20	8	10	53-33	48
„როტორი“	39	21	4	14	66-49	46
„პამირი“	39	18	10	11	62-38	46
„ლოკომოტ.“	39	17	11	11	51-39	45
„დინამო“ ბ.	39	18	8	13	41-46	44
„როსტს.“	39	17	10	12	70-56	44
ასკ „კარ.“	39	17	10	12	56-45	44
„კოლოსი“	39	15	11	13	38-39	41
„შინიკი“	40	14	14	12	35-31	40
„ფაკელი“	39	16	7	16	43-39	39
ასკ რ.	39	15	9	15	51-42	39
„მეტალურ.“	39	15	8	16	50-44	38
„ფახთაქ.“	39	14	8	17	48-57	36
„სპარტაკი“	39	12	12	15	52-54	36
„კუზბასი“	39	12	12	15	48-54	36
„დინ.“ სტ.	39	11	13	15	52-49	34
„კოტაიკი“	39	10	12	17	35-45	32
„ყუბანი“	39	10	13	16	31-41	32
„ისკრა“	40	10	12	18	26-50	32
ასკ ხ.	39	10	11	18	42-53	31
„ატლანტ.“	39	8	10	21	35-61	26
„ნისტრუ“	39	5	8	26	26-88	18

სსრ კავშირის ჩემპიონატი კალათბურთში

ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲩᲔᲛᲞᲘᲝᲜᲘ

ᲚᲘᲓᲔᲠᲘᲡ ᲒᲐᲠᲔᲨᲔ ᲗᲐᲛᲐᲨᲝᲑᲡ

ᲙᲐᲣᲜᲐᲡᲘ. დამთავრდა უმაღლესი ლიგის კალათბურთელ ვაჟთა საკავშირო ჩემპიონატის პირველი წრის მეორე ტურის მატჩები.

საბჭოთა კავშირის ჩემპიონმა ადგილობრივმა „ჟალგირისმა“, რომელიც თავისი ლიდერის არ ვიდას საბონისის გარეშე თამაშობს, მეორე შეხვედრაც წააგო რიგის ვეფ-თან — 88:99. სამაგიეროდ ტურის უკანასკნელი მატჩი ვილნიუსის „სტატიბასთან“ კარგად ჩაატარა და დამაჯერებელ გამარჯვებასაც მიაღწია — 95:65.

ზედიზედ ორი დამარცხება განიცადა დონეცკის „შახტიორმა“. მას ჯერ „სტატიბმ“ მოუგო (80:67), მერე კი ვეფ-მაც აჯობა (88:78).

პირველი წრის მეორე ტური ამ ჯგუფშიც დასრულდა. გათამაშების ცხრილი დღეისათვის ასე გამოიყურება:

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
ცსკა	8	7	1		724-624	15
ასკ (კიევი)	8	6	2		685-655	14
„სტროიტ.“ (ქ.)	8	5	3		708-656	13
„დინ.“ (თბ.)	8	5	3		625-635	13
ვეფ (რიგა)	8	4	4		698-688	12
„შახტ.“ (დონ.)	8	4	4		644-645	12
„ჟალგ.“ (კაუნ.)	8	4	4		749-772	12
„დინ.“ (მოსკ.)	8	3	5		704-721	11
რტი (მინსკი)	8	3	5		649-650	11
„სპარტ.“ (ლენ.)	8	3	5		643-652	11
ასკ (ალმა-ათა)	8	2	6		595-655	10
„სტატ.“ (ვილნ.)	8	2	6		634-705	10

რედაქტორის მოადგილე თ. გაჩეჩილაძე.

„ლოკომოტივის“ სტადიონი

16 ოქტომბერი

ფეხბურთი

სსრ კავშირის პირველობა

II ლიგა, IX ზონა

„ლოკომოტივი“ (თბილისი) — „ძიაუბაზი“ (ალოვანდი)

თამაშის დასაწყისი 18 ს. 15 წ.

გლდანის რაიონის პარტიის რაიკომი და სპორტსაზოგადოება „სპარტაკის“ საქართველოს რესპუბლიკური საბჭო 19 ოქტომბერს ლისის ტბის მიდამოებში აწყობენ გლდანის რაიონის საშუალო სკოლების პირველობას ტურისტულ მრავალჯიდში.

შეჯიბრებაში მონაწილეობის მიღება შეუძლია ყველას. დასაწყისი 11 საათზე. (ტელ. 34-72-29 ან 34-75-39).

გლდანის რაიონის პარტიის რაიკომი და სპორტსაზოგადოება „სპარტაკის“ რესპუბლიკური საბჭოს მორბენალთა კლუბი „ივერია“ 25 ოქტომბერს თბილისის ზღვის მიდამოებში ატარებს თბილისჭალაჭობისადმი მიძღვნილ მასობრივ კროსს. შეჯიბრებაში მონაწილეობა შეუძლია ყველა მსურველს (ეტიმის ცნობით). დასაწყისი 10 ს.

შეკრების ადგილი: თბილისის ზღვა, № 3 და № 4 ტრამვაის ბოლო გაჩერება.

„ᲒᲣᲠᲘᲘᲡ“ ᲨᲔᲡᲐᲜᲘᲨᲜᲐᲕᲘ ᲞᲔᲠᲡᲞᲔᲥᲢᲘᲕᲔᲑᲘ

ᲝᲚᲘᲛᲞᲘᲔᲚᲗᲐ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲛᲐᲢᲩᲘ

14 ოქტომბერს ოსლოში შედგა ოლიმპიური თამაშების საფეხბურთო ტურნირის შესარჩევი მატჩი ნორვეგიისა და სსრ კავშირის ნაკრებ გუნდებს შორის. თამაში ზიმდინარეობდა თანაბარ ბრძოლაში, გარკვეულ პერიოდებში ტერიტორიული უპირატესობა მასპინძლებს ჰქონდათ, თუმცა, საბჭოთა ფეხბურთელებსაც მიეცათ ბურთის გატანის შესაძლებლობა. იგრძნობოდა, რომ საბჭოთა ნაკრებში, რომლის შემადგენლობაში ჩვენი უმაღლესი ლიგის 10 გუნდის ფეხბურთელები შედიოდნენ, არ იყო შეთამაშება, განსაკუთრებით შეტევის დასასრულს. 90 წუთმა ვერც ერთ მხარეს ვერ მოუტანა წარმატება — 0:0.

სსრ კავშირის ოლიმპიური ნაკრების შემადგენლობა: ხარინი, კეტაშვილი, პანჩიკი, აფანასიევი, იანონისი, ლიუტი, ე. კუზნეცოვი, ი. სავიჩევი, მიხაილიჩენკო, დობროვოლსკი, მოროზოვი (დმიტრიევი).

საბჭოთა ფეხბურთელები შესარჩევი ციკლის შემდგომ მატჩს მომავალ წელს ჩაატარებენ.

საპრიზო ადგილზე

ᲐᲛ დღეებში მოსკოვში დამთავრდა 18 წლამდე ჭაბუკ ფეხბურთელთა საკავშირო შეჯიბრება.

ტურნირში წარმატებას მიაღწიეს მოსკოვის დინამოელებმა, რომლებმაც 9 ქულით პირველი ადგილი დაიკავეს.

კარგად ითამაშეს თბილისის დინამოელებმაც (მწვრთნელები ბ. სიჭინავა და თ. ჩარკვიანი), რომლებიც 6 ქულით მეორე ადგილზე გავიდნენ.

მესამე ადგილზეა მოსკოვის „სპარტაკი“, მეოთხეზე — ტაშკენტის „ფახთაქორი“.

ტურნირის საუკეთესო ფეხბურთელთა შორის დაასახელეს თბილისის „დინამოს“ მცველი მ. კალატოზიშვილი.

ჭაბუკებმა გაიმარჯვეს

14 ოქტომბერს ლვოვში შედგა ჭაბუკ ფეხბურთელთა ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი მატჩი, სსრ კავშირის ნაკრებმა მიიღო პოლონეთის თანატოლთა გუნდი.

თამაში მოიგეს საბჭოთა ფეხბურთელებმა — 3:0 (2:0). ბურთები გაიტანეს მატვეევმა (2) და ნიკიფოროვმა.

მოგვყავს განვლილ შაბათ-კვირას ჩატარებული რესპუბლიკის საფეხბურთო ჩემპიონატის ტურის მატჩების სტატისტიკური მონაცემები.

I ᲚᲘᲒᲐ

I-XII ᲐᲓᲒᲘᲚᲔᲑᲘ

„ამირანი“ (ოჩამჩირე) — „მადნეული“ (ბოლნისი) 2:0. მსაჯი ე. სილაგავა (თბილისი). გოლები: ბეჟანია, გუჩუა („ამირანი“).

უხეში თამაშისთვის გააფრთხილეს, შემდეგ კი მინდვრიდან გაძევეს ოჩამჩირელი ფეხბურთელი თ. ლოგუა. გუნდის ხელმძღვანელობამ პრინციპულად უნდა იმსჯელოს ამ უდისციპლინო ფეხბურთელის საქციელზე და შესაბამის ზომებსაც მიმართოს.



ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲝᲑᲐ

„დინამო“ (ზუგდიდი) — „არმაზი“ (მცხეთა) 2:2. მსაჯი რ. ჩიქოვანი (გაგრა). გოლები: შეროზია, ვ. თუთბერიძე („დინამო“), ხუციურაული-2 („არმაზი“).

მსაჯის სასტვენის შემდეგ ბურთის განზრახ გადაგდებისთვის გაფრთხილეს ზუგდიდელი მ. შეროზია და მცხეთელი გ. მამულაშვილი.

„კახეთი“ (თელავი) — „შადრევანი“ (წყალტუბო) 1:2. მსაჯი ა. კოკაია (თბილისი).

„სამეგრელო“ (ჩხოროწყუ) — „შევარდენი“-სპი (თბილისი) 3:1. მსაჯი ვ. შელია (გაგრა). გოლები: ქავთარაძე, ციმაკურიძე, ახალაია („სამეგრელო“), ჩადუნელი („შევარდენი“-სპი).

„ეგრისი“ (ცხაკაია) — „ივერია“ (ხაშური) 2:0. მსაჯი თ. სადილიანი (თბილისი). გოლები: შონია, ჩიქობავა („ეგრისი“).

„სულორი“ (ვანი) — „მეტალურგი“ (ზესტაფონი) 1:2. მსაჯი რ. ტალიაშვილი (თბილისი). გოლები: ორმოცაძე („სულორი“), ლაბაძე, კიკნაძე („მეტალურგი“).

XIII-XXIII ᲐᲓᲒᲘᲚᲔᲑᲘ

„დურუჯი“ (უვარელი) — „იმერეთი“ (ქუთაისი) 2:2. მსაჯი ვ. ეჯიბია (თბილისი). გოლები: ტაკაშვილი, მინდიაშვილი („დურუჯი“), მამალაძე-2 („იმერეთი“).

„სალხინო“ (გეგეჭკორი) — „ქართლი“ (გორის რ-ნი) 2:1. მსაჯი ი. გობრონიძე (ფოთი).

„იმედი“ (თბილისი) — „საპოვნელა“ (თერჯოლა) 0:0. მსაჯი ი. შალამბერიძე (თბილისი).

„სქური“ (წალენჯიხა) — „სპარტაკი“ (ცხინვალი) 4:2. მსაჯი ვ. ხეჩოიანი (თბილისი). გოლები: აბრალავა-4 („სქური“), ხუბეჯიშვილი-2 („სპარტაკი“).

ფიზკულტურის ინსტიტუტი (თბილისი) — „დინამო“ (გაგრა) 2:0. მსაჯი ჯ. წერეთელი (რუსთავი). გოლები: მანუჩაროვი, მარეხაშვილი (ფიზკულტურის ინსტიტუტი).

II ᲚᲘᲒᲐ

ᲐᲚᲛᲐᲗᲐᲡᲐᲕᲚᲔᲗᲘᲡ ᲖᲝᲜᲐ. „განთიადი“ (კასპი) — „ალგეთი“ (მარნეული) 4:0, „ალაზანი“ (გურჯაანი) — „მშენებელი“ (რუსთავი) 2:3, „კოლმეურნე“ (მარნეული) — „ბატრიონი“ (ახმეტა) 2:3, „არაგვი“ (დუშეთი) — „თრიალეთი“ (წალკა) 2:0, „ჰერეთი“ (ლაგოდეხი) — „გარეჯი“ (საგარეჯო) 5:0, „შირაქი“ (წითელი წყაროო) — „სამგორი“ (გარდაბანი) 0:4, „მუხნარი“ (მუხრანი) — „გარისი“ (თეთრი წყაროო) 1:0.

ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲖᲝᲜᲐ: „იმერეთი“ (წულუკიძე) — „თორი“ (ბორჯომი) 3:2, „საირმე“ (მაიაკოვსკი) — „კოლმეურნე“ (ტყიბული) 3:1, „მაღაროელი“ (ჭიათურა) — „იბერია“ (ქარელის რ-ნი) 3:2, „ჩიხურა“ (საჩხერე) — პოლიტექნიკური ინსტიტუტი (ქუთაისი) 2:2, „ლაჩვი“ (ცხინვალის რ-ნი) — „მესხეთი“ (ახალციხე) 2:1.

ᲓᲐᲡᲐᲕᲚᲔᲗᲘ ᲖᲝᲜᲐ. „ნარინჯი“ (ქობულეთი) — „ნარინჯი“ (ზონეთი) 2:0, „კოლმეურნე“ (გაგრა) — „კოლხეთმშენი“ (ფოთი) 1:0, „მზიური“ (გალი) — „ზანა“ (აბაშა) 4:0. „კოლხეთი“ (ფოთი) — „მეშახტე“ (ტყვარჩელი) 2:0, „ალიონი“ (გალი) — „სუბტროპიკი“ (სოხუმი) 3:2.

ᲒᲐᲗᲐᲛᲐᲨᲔᲑᲘᲡ ᲪᲮᲠᲘᲚᲔᲑᲘ

მდგომარეობა 16 ოქტომბრისთვის

I-XII ᲐᲓᲒᲘᲚᲔᲑᲘ

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„სამეგრელო“	15	9	4	2	24-11	22
„შევარ.“-სპი	15	9	3	3	34-15	21
„შადრევანი“	15	7	1	5	29-20	19
„მეტალურგი“	15	8	2	5	27-24	18
„დინამო“ ზ.	15	7	2	6	34-22	16
„სულორი“	15	7	1	7	30-24	15
„კახეთი“	15	6	2	7	23-26	14
„არმაზი“	15	5	4	6	29-33	14
„ეგრისი“	15	5	3	7	17-34	13
„მადნეული“	15	4	4	7	30-32	12
„ივერია“	15	3	2	10	12-28	8
„ამირანი“	15	3	2	10	15-33	8

XIII-XXIII ᲐᲓᲒᲘᲚᲔᲑᲘ

„მერცხალი“	14	8	4	2	19-7	20
„დინამო“ გ.	14	7	2	5	22-17	16
„დურუჯი“	13	5	5	3	17-15	15
„საპოვნელა“	14	6	2	6	20-20	14
„სპარტაკი“	13	6	2	5	21-22	14
ფიზკ. ინსტ.	13	5	4	4	15-13	14
„სალხინო“	14	5	4	5	16-15	14
„იმერეთი“	15	4	4	7	15-18	12
„სქური“	14	4	3	7	18-28	11
„იმედი“	13	2	7	4	9-12	11
„ქართლი“	13	3	3	7	6-11	9

ᲚᲘᲠᲡᲔᲣᲚᲐᲓ ᲨᲔᲐᲤᲐᲡᲔᲡ

ᲔᲕᲠᲝ�პᲘᲡ საფეხბურთო ჩემპიონატის შესარჩევი მატჩი საფრანგეთისა და სსრ კავშირის ნაკრებ გუნდებს შორის მოიგეს საბჭოთა ფეხბურთელებმა — 2:0, ჩვენი გუნდის ეს გამარჯვება ღირსეულად შეაფასა უცხოეთის პრესამ, კერძოდ, საფრანგეთის გაზეთებმა.

„ეკიპმა“ ასეთი სათაური გაუკეთა თავის საანგარიშო წერილს: „საბჭოთა სიმფონია მაჟორში“, სადაც აღნიშნავს საბჭოთა გუნდის შესანიშნავ თამაშს, მან ნამდვილი თანამედროვე ფეხბურთი აჩვენა.

„ფრანს-სუარი“ აღნიშნავს, რომ მხოლოდ განცვიფრება შეიძლება გამოითქვას საბჭოთა ფეხბურთელთა ასეთი დიდი უპირატესობის გამო, მათი მეტოქე კი ევროპის ჩემპიონი და მსოფლიო პირველობის მესამე პრიზიორი იყო. გაზეთმა ამ მატჩის შემდეგ ასეთი აზრი გამოიტანა: „მშვიდობით, ევროპის ჩემპიონობავ“.

სადღეისოდ ევროპის III ჯგუფში ასეთი მდგომარეობაა:

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
სსრ კავშირი	2	1	1	0	3-1	3
ისლანდია	2	0	2	0	1-1	2
გდრ	1	0	1	0	0-0	1
ნორვეგია	1	0	1	0	0-0	1
საფრანგეთი	2	0	1	1	0-2	1

სამეცნიერო ხელოვნების გაერთიანება „ელვას“ სპორტულ-გამაჯანსაღებელი კომპლექსი აცხადებს მიღებას ცურვის საბანონენტო ჯგუფებში.

ცნობებისათვის მიმართეთ კომპლექსის ადმინისტრაციას. მისამართი: ჯიქიას ქუჩა 10. ავტობუსი №2, 47. ქარხანა „ელვას“ გაჩერება.

ᲘᲜᲓᲔᲥᲡᲘ: 66455. საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა, 380096, თბილისი, ლენინის ქ. № 14. იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში, ხოშარაულის ქ., 29. უე 07541